საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 თებერვლის N 126 ბრძანებულების საფუძველზე, ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ ატრიბუტიკის შეცვლასთან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 თებერვლის N 126 ბრძანებულების - „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მცირე სახელმწიფო გერბის გამოყენების შესახებ“, ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 20 მარტის N 23/4 დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012 წლის 23 მარტიდან შეწყდეს ა(ა)იპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მხოლოდ თსსუ-ის ლოგოს გამოსახულებიანი ბლანკის გამოყენება (დანართი 1).

2. 2012 წლის 23 მარტიდან შეწყდეს ა(ა)იპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ თსსუ-ის ლოგოს გამოსახულებიანი ბეჭდის გამოყენება (დანართი 2).

3. 2012 წლის 23 მარტიდან ა(ა)იპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“:

ა) ყველა ოფიციალური სახის დოკუმენტაცია, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, დამოწმებული იქნეს დაწესებულების ბეჭდით, რომელზეც გამოსახულია მცირე სახელმწიფო გერბი (დანართი 3);

ბ) საქმისწარმოებაში გამოყენებულ იქნეს ბლანკი, რომელზეც თსსუ-ის ლოგოსთან ერთად გამოსახულია მცირე სახელმწიფო გერბი (დანართი 4)

4. ა(ა)იპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ თსსუ-ის ლოგოს გამოსახულებიანი ბეჭდის განადგურების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი ბაქრაძე - ფინანსური რესურსების მართვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი;
ბ) მიხეილ რობაქიძე - ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი;
გ) მზია დუნდუა - იურიდიული სამსახურის უფროსი;
დ) ნინო ჩიხრაძე - კანცელარიის უფროსი;

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

6. ბრძანება დაეგზავნოს კანცლერს, ვიცე-რექტორს, რექტორის მოადგილეებს, კანცლერის მოადგილეს, ყველა სტუქტურულ ერთეულს, კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

საქართველო
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

GEORGIA
NON-PROFIT (NON-COMMERCIAL) LEGAL ENTITY
TBILISI STATE MEDICAL
UNIVERSITY

N _____

_____ 201 წ.

0186, საქართველო, თბილისი, აზათიანის 7; 7, Asatiani str. 0186 Tbilisi, Georgia. tel /Tel: (+995 32) 254-24-24; 254-24-50
ტელ./ Fax: (+995 32) 254-24-41; 254-24-51 ელ.ფოსტა / E-mail: info@tsmu.edu; ვებ-გვერდი /URL: www.tsmu.edu

საქართველო
არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
NON-PROFIT (NON-COMMERCIAL) LEGAL ENTITY
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

N ____________   __ ________ 201 წ.

0186, საქართველო, თბილისი, ასათიანის ქ. 7, 7, Asatiani str. 0186 Tbilisi, Georgia. ტელ /Tel. (+995 32) 254-24-24; 254-24-50
ფაქსი / Fax: (+995 32) 254-24-41; 254-24-51 ელ-ფოსტა / E-mail: iad@tsmu.edu ვებ-გვერდი / URL: www.tsmu.edu